

2019 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შ.პ.ს. „მია“

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
საქმიანობის შედეგები;  
ფულადი ნაკადების მორაობის ანგარიშგება.

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია;
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა;
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები;
4. ძირითადი საშუალებები;
5. არამატერიალური აქტივები;
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები;
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
8. საკუთარი კაპიტალი
9. მოგების გადასახადი
10. საანგარიშგები პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

| ფინანსური მდგომარეობა                 | 31.12.2019     | 31/12/2018     | 31/12/2017     |
|---------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                       |                |                |                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 183927         | 124091         | 194013         |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 257013         | 204283         | 117507         |
| გადახდილი ავანსები                    | 82             | 100            | 47             |
| <b>მარაგები</b>                       | <b>196036</b>  | <b>196375</b>  | <b>199786</b>  |
| <b>მზა პროდუქცია</b>                  |                |                |                |
| სხვა                                  | 196036         | 196375         | 199786         |
| სხვა მიმდინარე აქტივები               | 4299           | 19810          | 20172          |
| <b>ბიოლოგიური აქტივები</b>            |                |                |                |
| თვითღირებულების მოდელით               |                |                |                |
| გადაფასების მოდელით                   |                |                |                |
| სხვა არამატერიალური აქტივები          | 571            | 571            | 571            |
| ძირითადი საშუალებები                  | 571673         | 581809         | 608142         |
| სხვა გრელვადიანი აქტივები             | 618187         | 618187         | 618187         |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>1831788</b> | <b>1745226</b> | <b>1758425</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                  |                |                |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 15344          | 10906          | 14563          |
| ვალდებულებები კონკრეტულ პირებს მიმართ |                |                |                |
| საგადასახადო ვალდებულებები            | 30560          | 29075          | 32068          |
| სხვა ვალდებულებები                    |                |                |                |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | <b>45904</b>   | <b>39981</b>   | <b>46631</b>   |

შპს „მია“  
დირექტორი:



13. იანვარი

|                                                                                           |         |         |         |
|-------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|
| საკუთარი კაპიტალი                                                                         | 808918  | 808918  | 808918  |
| საქციო კაპიტალი (შპს შემთხვევაში<br>„კაპიტალი“ კომპანიაში შემთხვევაში<br>საპაიო კაპიტალი) |         |         |         |
| საემისიო შემოსავალი                                                                       |         |         |         |
| გაუნაწილებელი შემოსავალი/ზარალი                                                           | 358779  | 278140  | 284689  |
| სხვა რეზერვი                                                                              | 618187  | 618187  | 618187  |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                     | 1785884 | 1705245 | 1711794 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                    | 1831788 | 1745226 | 1758425 |

შპს „მია“-ს  
დირექტორი:



13. სექტემბერი /

|                                       |         |         |
|---------------------------------------|---------|---------|
| საქმიანობის შედეგები                  | 2019    | 2018    |
| ნეტო ამონაგები                        | 679999  | 695943  |
| საქონლის გაყიდვიდან                   | 2347    | 4314    |
| მომსახურების გაწვიდან                 | 608150  | 602597  |
| სხვა                                  | 69502   | 89032   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | -339    | -3411   |
| საწყისი მარაგები                      | -196375 | -199786 |
| მარაგების შესყიდვები                  |         |         |
| გადამუშავების ხარჯები                 |         |         |
| საბოლოო მარაგები                      | 196036  | 196375  |
| საეთლი მოცულობა                       | 679660  | 692532  |
| სხვა შემოსავალი                       | 3016    | 1500    |
| დასაქმებულთა ხელფასები                | -299041 | -255981 |
| ცვეთა და ამორტიზაცია                  | -27098  | -28133  |
| საპროცენტო შემოსავალი:                |         |         |
| საპროცენტო ხარჯები                    |         |         |
| იჯარის ხარჯები                        |         |         |
| ადმინისტრაციული ხარჯები               |         |         |
| ადმინისტრაციული ხარჯები               | -93849  | -118295 |
| სულ საპროცენტო ხარჯები                | -416972 | -400909 |
| საოპერაციო წარმატება                  | 262688  | 291623  |

გაუფასურებული (გადახდილი)/რევერსირება

ფინანსური შედეგები

მარაგები

სხვა საფინანსო პოზიციები

შპს „ბიას“

დირექტორი:



13. სექტემბერი

წმინდა შემოსავალი / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

მიღებული დანახარჯები

სხვა წმინდა შემოსავალი / (ერაციო შემოსავალი) / (ხარჯი)

|                                                                 |        |        |
|-----------------------------------------------------------------|--------|--------|
| მოგება (წმინდა შემოსავალი) / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | 262688 | 291623 |
| მოგება (სხვა წმინდა შემოსავალი) / (ერაციო შემოსავალი) / (ხარჯი) | -45207 | -45540 |
| მოგება (სხვა წმინდა შემოსავალი) / (ერაციო შემოსავალი) / (ხარჯი) | 217481 | 246083 |

სხვა სავალუტო ოპერაციები / (ხარჯი) / (შარალი)

ძირითადი მოგება (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის)  
გადასახადების გარეშე

სხვა (სხვა წმინდა შემოსავალი და მეკავშირე საწარმოების  
უმრავლესობის რეზერვი და დადგენილ  
გადასახადების გარეშე)

|                                                            |         |         |
|------------------------------------------------------------|---------|---------|
| სხვა (სხვა წმინდა შემოსავალი) / (ხარჯი) / (შარალი)         | 217481  | 246083  |
| საკუთრების მოგება (საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)) | 1705245 | 1711794 |
| განაწილებული მოგება (მათ შორის დივიდენდი)                  | -136842 | -252632 |
| კაპიტალის მოგება                                           |         |         |
| საკუთრების მოგება (საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს)           | 1785884 | 1705245 |

ფ. პ. ს. შიპი

დირექტორი



13. ბუხუაძე

შ.პ.ს „მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მია“ ს.კ 405027901 (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 36-ში

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა; აგრეთვე საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

კომპანიის საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია 2014 წლის 29 იანვარი.

კომპანიის დამფუძნებლები არიან საქართველოს მოქალაქეები: მანანა მჭედლიშვილი 56.959%; ირაკლი ნარეკლიშვილი (1/3), ზაქარია ნარეკლიშვილი (1/3), დავით ნარეკლიშვილი (1/3) სულ 30.194%; თამაზი თოთოსაშვილი 5.967%; ვაჟა ცერცვაძე 5.512%; დავით კობახიძე 1.304%; ნიკოლოზ ორკოშნელი 0.04%; შალვა ვაშაკიძე 0.016%; მზია ტყავაშვილი 0.008%.

შ.პ.ს. „მია“-ს მოქმედი დირექტორია ვაჟა ცერცვაძე.

შპს „მია“-ს

დირექტორი:



1/3. ცერცვაძე/

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                       | 2019         | 2018          |
|-----------------------------------------------------------------|--------------|---------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                 | 59836        | -69922        |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან               |              |               |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან                  |              |               |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>59836</b> | <b>-69922</b> |
| სავალდებულო ვალდებულებები                                       |              |               |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში                    | 124091       | 194013        |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს                         | 183927       | 124091        |

შპს „მია“-ს

დირექტორი:



13.06.2020 წ.

## შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### 2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

#### მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში). კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

□ ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;

□ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

შპს „მია“

დირექტორი:



13. ნეჩუვაძე

## შ.პ.ს „მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („GEL“).

#### წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები განთავსებულია კომპანიის სალაროში, სს „საქართველოს ბანკი“-ში და სს „თი ბი სი ბანკი“-ში. ამავე ბანკში კომპანიას აქვს ფულადი სახსრები განთავსებული ვადიან ანაზარაზე.

### სავაჭრო მოთხოვნები

შ.პ.ს. „მია“-ს შემოსავლის დიდ ნაწილს წარმოადგენს საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. მიწოდებული საიჯარო მომსახურეობა აისახება შემოსავალში. დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება.

საქონლის რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ამონაგები მომსახურეობიდან, საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს მომსახურეობა, საქონელი მიეწოდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არ-

შპს „მია“-ს  
დირექტორი:



13. სექტემბერი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიას, ერთ-ერთ მოიჯარესთან, რომელსაც აქვს მსხვილი დე-  
ბიტორული დავალიანება, მიმდინარეობს სასამართლო დავა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შემენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი.

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას  
გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების  
ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი  
საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო  
მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტი-  
ვების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 200-40 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 5-6 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 2-4 წელი
- ავეჯი 5-7 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები 2-5წელი
- მიწა, არ ხდება ცვეთის დარიცხვა;
- არამატერიალური აქტივი. არ ხდება ცვეთის დარიცხვა

only if you know:



13. 52h 530g/



## შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები

### საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებ-

შ.პ.ს “მია“

დირექტორი:



13. თხ სვ ა ბ /

### შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაზღვევის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახდა. მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

### დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას მიერ მიღებული ჩასათვლელი დღგ-ს თანხების გათვალისწინებით.

### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

შ. პ. ს. „მია“  
დირექტორი



13. თეხუვაძე

შ.პ.ს "მია" ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

შპს "მია" ს

დირექტორი:



13. თებერვალი

## შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან და შეეხო კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 01 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი ე.წ. “დაგროსილი” თანხიდან (ჯერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის დაგროსვა 5% საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით და შემდეგ 0,85 გაყოფით მიიღება მოგების გადასახდით დასაბეგრი ზანა), რომელიც გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

### 4. ძირითადი საშუალებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

შპს „მია“-ს  
დირექტორი:



13.06.2020/

შ.პ.ს "მია" ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|              | შენიშვნები | მანქანა-<br>დანადგარები | სხვა<br>აქტივები | სულ<br>დ.-ბა |
|--------------|------------|-------------------------|------------------|--------------|
| ბალანსი      |            |                         |                  |              |
| 01/01/2019წ  | 529537     | 48598                   | 3674             | 581809       |
| დამატება     | 6980       | 9404                    | 578              | 16962        |
| გასვლა       | 0          | 0                       | 0                | 0            |
| ცვეთა 2019წ. | 14705      | 10834                   | 1559             | 27098        |

|              |        |       |      |        |
|--------------|--------|-------|------|--------|
| ბალანსი      |        |       |      |        |
| 31/12/2019წ. | 521812 | 47168 | 2693 | 571673 |

კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებს წრფივი მეთოდის მიხედვით.

მიწა

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|             |        |
|-------------|--------|
| ბალანსი     |        |
| 01/01/2019წ | 618187 |
| დაემატა     | 0      |
| გასვლა      | 0      |
| ცვეთა       | 0      |
| ბალანსი     |        |
| 31/12/2019  | 618187 |

შპს "მია"-ს  
დირექტორი:



ს. სუხოვსკი

შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. არამატერიალური აქტივები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                         | არამატერიალური<br>აქტივი | სულ |
|-------------------------|--------------------------|-----|
| ბალანსი<br>01/01/2019წ  | 571                      | 571 |
| დამატება                | ---                      | --- |
| გასვლა                  | ---                      | --- |
| ცვეთა                   | ---                      | --- |
| ბალანსი<br>31/12/2019წ. | 571                      | 571 |

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები  
თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                      | 31/12/2019 | 01/01/2019 |
|----------------------|------------|------------|
| მიმდინარე ანგარიშები |            |            |
| ბანკში               | 182981     | 123719     |
| ნაღდი ფული სალაროში  | 946        | 372        |

უკან მია  
დო ხეჩკოძი



/3. სეხსუაძე/

შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                       |        |        |
|-----------------------|--------|--------|
| სულ ფულადი სახსრები   | 183927 | 124091 |
| და მათი ექვივალენტები |        |        |

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

|                            |            |            |
|----------------------------|------------|------------|
|                            | 31/12/2019 | 01/01/2019 |
| სავაჭრო ვალდებულებები      | 15344      | 10906      |
| საგადასახადო ვალდებულებები | 30560      | 29075      |
| სულ ვალდებულებები          | 45904      | 39981      |

8. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 808918 ლარს,

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. 2019 წელს კომპანიის მიერ მოხდა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდის გამოცხადება და განაწილდა 136842 ლარის ოდენობით

შ.პ.ს. „მია“-ს

დირექტორი:



13. სექტემბერი

შ.პ.ს “მია“ ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

---

**9. მოგების გადასახადი**

კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად „ესტონურ მოდელზე“ გკადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ მოგების განაწილების დროს

**10. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

შ.პ.ს „მია“

დირექტორი:



13. სექტემბერი